სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 42

2011 წლის 23 ივნისი

ქ. თბილისი

საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრისა და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2011 წლის ერთობლივი კონკურსის
გამოცხადებისა და კონკურსის პირობების და პროექტის წარმომდგენი ფიზიკური პირების და საბაზო ორგანიზაციის ერთობლივი განცხადების ფორმის დამტკიცების შესახებ

,,მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24[1] მუხლის, ,, საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრისა და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 15 ივნისის №104/ნ ბრძანების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ", ,,ე", „ე[1]" და ,,თ" ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭოს 2011 წლის 18 მაისის №04 ოქმის (გადაწყვეტილების) გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს 2011 წლის 23 ივნისს ,,საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრისა და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2011 წლის ერთობლივი კონკურსი". სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში საპროექტო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2011 წლის 1 აგვისტო, 14 საათი.

2. დამტკიცდეს ,,საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრისა და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2011 წლის ერთობლივი კონკურსის" პირობები ამ ბრძანების დანართი №1-ის შესაბამისად.

3. დამტკიცდეს ,,პროექტის წარმომდგენი ფიზიკური პირებისა და საბაზო ორგანიზაციის ერთობლივი განცხადების" ფორმა ამ ბრძანების დანართი №2-ის შესაბამისად.

4. დამტკიცდეს საპროექტო წინადადების ფორმა ამ ბრძანების დანართი №3-ის შესაბამისად.

5. დაევალოს ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორს (თ. გორგოძეს) წინამდებარე ბრძანების საჯარო გაცნობისათვის განთავსება ფონდის ვებ-გვერდზე: www.rustaveli.org.ge.

6. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

სულხან სისაური